

ტესტის სახელწოდება

ანტინუკლეარული ანტისხეულების ანალიზი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ანალიზი სისხლში ანტინუკლეარული ანტისხეულების აღმოსაჩენად გამოიყენება.

ანტინუკლეარული ანტისხეულები საკუთარი ორგანიზმის ჯანმრთელი უჯრედების საწინააღმდეგოდ მიმართული ანტისხეულებია, რომლებიც სისხლში ზოგიერთი აუტოიმუნური პროცესის დროს გვხვდება. უმეტესად ეს ანტისხეულები დაკავშირებულია სისტემური წითელი მგლურას არსებობასთან.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ანტინუკლეარული ანტისხეულების ანალიზი ინიშნება მაშინ, როდესაც ეჭვი აქვთ აუტოიმუნური დაავადების არსებობაზე.

მოცემული ტესტი ერთ-ერთი უმთავრესი ანალიზია, რომელიც სისტემური წითელი მგლურას დიაგნოსტიკისას გამოიყენება.

ანტინუკლეარული ანტისხეულების ანალიზი შესაძლოა სხვა ტიპის აუტოანტისხეულების ანალიზებთან ერთად დაინიშნოს.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია

ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს. დიაგნოზის დასმისას აუცილებელია კლინიკური სურათისა და სხვა ანალიზებისგან მიღებული შედეგების გათვალისწინება.

მოცემული ანალიზის დადებითი შედეგი სისხლში ანტინუკლეარული ანტისხეულების არსებობაზე მიუთითებს.

ანტიუკლუარული ანტისხეულების ანალიზის დადებითი შედეგი ძირითადად სისტემური წითელი მგლურას არსებობას უკავშირდება. სისტემური წითელი მგლურას მქონე პაციენტების დაახლოებით 95%-ს აღენიშნება სისხლში ანტიუკლუარული ანტისხეულების არსებობა.

ტესტი შეიძლება დადებითი იყოს ასევე წამლისმიერი მგლურას, შოგრენის სინდრომის, სკლეროდერმიის და ზოგიერთი სხვა აუტოიმუნური დაავადებებისას.

ზოგჯერ ტესტის შედეგები დადებითი შეიძლება იყოს იმ პირებშიც, რომელთაც აუტოიმუნური დაავადება საერთოდ არ აქვთ ან აუტოიმუნური დაავადების ნიშნები ჯერ არ აღენიშნებათ, ამიტომ დიაგნოზის დასმისას აუცილებელია კლინიკური სურათის გათვალისწინება.

თუ ანტიუკლუარული ანტისხეულების ანალიზის შედეგი უარყოფითია, სისტემური წითელი მგლურას არსებობა ნაკლებ სავარაუდოა.